


თავი III

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები

„საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 25 030 420.7 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 18 401 699.7 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ - 18 248 418.7 ათასი ლარი. საკასო შესრულება 9 თვის გეგმიური მაჩვენებლის 99.2%, ხოლო წლიური დამტკიცებული ბიუჯეტის - 72.9%-ია.

საქართველოს 2011-2024 წლების სახელმწიფო ბიუჯეტების წლიური, კვარტლის გეგმიური და საკასო მაჩვენებლები

(ათას ლარებში)



სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები

„საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვრა 19 120 890.2 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 14 533 043.5 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 14 217 467.2 ათასი ლარი, რაც კვარტლის გეგმიური მაჩვენებლის 97.8%-ია, ხოლო წლიური დამტკიცებული მაჩვენებლის - 74.4%-ია.

სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა

„საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 4 180 619.5 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 2 791 869.0 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ - 2 923 889.5 ათასი ლარი, რაც კვარტლის გეგმიური მაჩვენებლის 104.7%-ია, ხოლო წლიური დამტკიცებული მაჩვენებლის - 69.9%-ია.


სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა

„საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 305 550.0 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 145 783.3 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ - 182 082.2 ათასი ლარი, რაც კვარტლის გეგმიური მაჩვენებლის 124.9%-ია, ხოლო წლიური დამტკიცებული მაჩვენებლის - 59.6%-ია.

სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება

„საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება განისაზღვრა 1 423 361.0 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 931 003.8 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ - 924 979.9 ათასი ლარი, რაც კვარტლის გეგმიური მაჩვენებლის 99.4%-ია, ხოლო წლიური დამტკიცებული მაჩვენებლის - 65.0%-ია.

2024 წლის 9 თვის ასიგნებების სტრუქტურა
(საკასო შესრულება)



გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- საპენსიო უზრუნველყოფის მიმართულებით, სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაფინანსების მიზნით განხორციელდა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებულ ბენეფიციართა უზრუნველყოფა სახელმწიფო პენსიებით და სახელმწიფო კომპენსაციებით. 2024 წლის იანვრიდან გაიზარდა პენსიის ოდენობა და 70 წლამდე ასაკის პენსიონერისათვის განისაზღვრა 315 ლარით, 70 წლის ან მეტი ასაკის პენსიონერისათვის – 415 ლარით. შესაბამისად განხორციელდა სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობის გადაანგარიშება. სულ საანგარიშო პერიოდში მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფის მიზნით გადარიცხულ იქნა 2 945.6 მლნ ლარი;
- მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისთვის სოციალური დახმარებისა და ბავშვთა ინსტიტუციური დაწესებულებებიდან ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნებასთან დაკავშირებული რეინტეგრაციის შემწეობის გაცემა. აგრეთვე, მიმდინარეობდა სოციალური პაკეტის დაფინანსება შშმ პირებისთვის, შშმ ბავშვებისთვის, მარჩენალდაკარგულებისთვის და სხვა მოწყვლადი კატეგორიებისათვის, ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობებით უზრუნველყოფა და შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობის ვენების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის და ასევე, ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარების, საყოფაცხოვრებო სუბსიდიის, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მესამე და ყოველ მომდევნო ცოცხლადშობილი შვილის დაბადების გამო, ასევე 2016 წლის პირველი იანვრიდან დაბადებული ბენეფიციარებისათვის (პირველი, მეორე, მესამე და ყოველი მომდევნო შვილი), რომელთა ერთ-ერთ მშობელს აქვს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივი ცხოვრების პირის სტატუსი, ფულადი დახმარების გაცემა. ამასთან, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახებისთვის (რომელთა სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 120 001-ზე და რომლებშიც 16 წლამდე ასაკის ბავშვები ცხოვრობენ). მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარებების გასაცემად საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიმართა სულ 1 124.7 მლნ ლარი, საიდანაც სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი და მრავალშვილიანი ოჯახების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის/წყლის სუბსიდირებას მოხმარდა 13.4 მლნ ლარი;
- „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პენსიონერები იღებენ დანამატს პენსიის 20%-ის ოდენობით, ხოლო სოციალური პაკეტის მიმღებები - დანამატს სოციალური პაკეტის 20%-ის ოდენობით. უზრუნველყოფილია დანამატები მაღალმთიან დასახლებაში მდებარე, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ და მის მართვაში არსებულ სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებული სამედიცინო პერსონალისთვის (ექიმისთვის – პენსიის ორმაგი ოდენობით, ექთნისთვის – პენსიის ერთმაგი ოდენობით). ასევე, ანაზღაურებულია მაღალმთიან დასახლებებში არსებული აბონენტების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის 50% (არაუმეტეს მოხმარებული 100 კვტ.სთ ელექტროენერჯის საფასურისა). სულ აღნიშნული სოციალური შეღავათების დასაფინანსებლად საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა სულ 77.8 მლნ ლარი, მათ შორის 9.0 მლნ ლარი გადარიცხულ იქნა მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის ასანაზღაურებლად;
- გეგმური და გადაუდებელი ამბულატორიული, გადაუდებელი სტაციონარული და გეგმური ქირურგიული მომსახურება, ქიმიო-, ჰორმონო- და სხივური თერაპია; მშობიარობისა და საკეისრო კვეთის სერვისების დაფინანსება; ბენეფიციართა გარკვეული ჯგუფები (სოციალურად დაუცველ

პირთა, საპენსიო ასაკის პირთა, ვეტერანთა და სხვათა) შესაბამისი მედიკამენტებით; მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა სტაციონარული სამედიცინო მომსახურება; ინფექციური და პარაზიტული დაავადებების მქონე ავადმყოფთა სტაციონარული სამედიცინო დახმარება; ასევე მიმდინარეობდა ბენეფიციარების ერთ/ორ/სამკამერიანი დეფიბრილატორებითა (1 002 ერთეული) და კოხლყარული იმპლანტებით უზრუნველყოფა (100 ერთეული). სულ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამაზე საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 948.0 მლნ ლარი. მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში რიგი სამედიცინო შემთხვევის ანაზღაურება განხორციელდა დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფებით (DRG) დაფინანსების სისტემით. რიგ მედიკამენტებზე დადგენილ იქნა რეფერენტული ფასი (სარეალიზაციო ფასის ზედა ზღვარი);

- სოციალური დახმარების სახით, ფინანსური დახმარება გაეწია 15 792 დევნილს. აგრეთვე, დროებითი საცხოვრებელი ფართების დაქირავების მიზნით, სხვადასხვა ნგრევადი და შეჭრილი ობიექტებიდან უკიდურესად გაჭირვებულ 876 ოჯახს გაეწია ფულადი დახმარება (ყოველთვიურად 50-დან 300 ლარამდე). მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ფართების დაკანონების მიზნით 1 562 დევნილ ოჯახში განხორციელდა ვიზიტი. ქ. თბილისში, ქ. ზუგდიდში, ქ. ქუთაისში, ქ. რუსთავში და ქ. ბორჯომში მიმდინარეობდა იძულებით გადაადგილებული ოჯახებისათვის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. დევნილთა გრძელვადიანი განსახლების და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით ქ. თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შეძენილ იქნა 1 132 საცხოვრებელი სახლი და მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში 36 ბინა. მიმდინარეობდა დევნილთა განსახლების ობიექტებში სახურავის გადახურვის სამუშაოების შესყიდვა. ქ. თბილისის მერიასთან და სხვადასხვა მუნიციპალიტეტებთან თანადაფინანსებით განხორციელდა სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები 28 ობიექტზე. განხორციელდა 170 დევნილი ოჯახის ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელთან მიერთება (ინდივიდუალური გაზიფიცირება). სულ ამ მიზნით მიიმართა 105.9 მლნ ლარი;
- მიმდინარეობდა საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების მასშტაბური პროგრამის განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავს სოციალური შემწეობის მიმღები, შრომისუნარიანი პირების დასაქმებას ისეთ ვაკანტურ ადგილზე, რომლის შესრულება ნებისმიერი კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია. სამუშაოს მომწოდებლები კი ძირითადად სახელმწიფო უწყებები და ადგილობრივი თვითმმართველობები არიან. პროგრამის ბენეფიციარები, 18 წლის და უფროსი ასაკის (საპენსიო ასაკამდე) შრომისუნარიანი პირები არიან, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს და იღებენ მიზნობრივ სოციალურ დახმარებას. დასაქმების პროგრამაში ჩართულ პირს 4 წლის განმავლობაში გარანტირებულად უნარჩუნდება სოციალურად დაუცველის სტატუსი, მასთან მიბმული ფულადი და არაფულადი სიკეთეები. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში არ ხდება სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის გადამოწმება. საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართული ბენეფიციარები, სოციალურ დახმარებასთან ერთად, დამატებით ფინანსურ სარგებელსაც იღებენ, რომელიც ნამუშევარი საათების მიხედვით ანგარიშდება და სრული განაკვეთის შემთხვევაში, მოსარგებლის ანაზღაურება სოციალური გასაცემელის სახით შეადგენს თვეში 300 ლარს ან პროპორციულად განსაზღვრულ სამუშაო განაკვეთის დღიურ გასაცემელს. საზოგადოებრივი სამუშაოს შესრულებისთვის გაცემული თანხა წარმოადგენს სოციალურ გასაცემელს, რომელიც არ იბეგრება. საანგარიშო პერიოდში დასაქმების საინფორმაციო სისტემაში (სარეგისტრაციო პორტალზე) რეგისტრირებულია 1 413 დამსაქმებლის მიერ მოწოდებული 15 267 ვაკანტური სამუშაო ადგილი. საზოგადოებრივ სამუშაოზე ჩართვის მიზნით ხელშეკრულება გაფორმდა 31 192 სოციალურად დაუცველ პირთან, საიდანაც აქტიურია 29 639 ხელშეკრულება (თბილისი - 224, იმერეთი - 6 329, კახეთი - 3 815, ქვემო ქართლი - 2 352, შიდა ქართლი - 443, სამეგრელო-ზემო სვანეთი - 6 543, აჭარა - 3 135, სამცხე-ჯავახეთი - 1 086, მცხეთა-მთიანეთი - 1 846, გურია - 2 028, რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი - 1 838). საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობაზე საანგარიშო პერიოდში მიიმართა 77.7 მლნ ლარი;

- „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე 2019 წლის 1 იანვრიდან საქართველოში დაგროვებითი საპენსიო სქემა ამოქმედდა. საანგარიშო პერიოდში საპენსიო სქემაში დარეგისტრირდა 78.8 ათასი ახალი მონაწილე (კერძო ორგანიზაციებიდან 69.6 ათასი, ხოლო საჯარო დაწესებულებებიდან - 9.2 ათასი მონაწილე) და სქემაში რეგისტრირებულ მონაწილეთა ოდენობამ 1 557.1 ათასს მიაღწია (კერძო ორგანიზაციებიდან - 1 191.6 ათასი, ხოლო საჯარო დაწესებულებებიდან - 365.5 ათასი მონაწილე). ამასთან, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დარეგისტრირდა 9.5 ათასი კერძო ორგანიზაცია და მათი ჯამური რაოდენობამ 117.5 ათასს მიაღწია. 2024 წლის პირველი 9 თვის მანძილზე საპენსიო აქტივების ჯამური წმინდა ღირებულება (კონტრიბუციები + წმინდა საინვესტიციო მოგება) გაიზარდა 1.316 მილიარდი ლარით. საანგარიშო პერიოდის ბოლოს საპენსიო აქტივების წმინდა ღირებულებამ (კონტრიბუციები + წმინდა საინვესტიციო მოგება) 5.674 მილიარდი ლარი შეადგინა. საინვესტიციო საბჭოს გადაწყვეტილებით, საპენსიო აქტივებზე რეალური ამონაგების გაზრდის მიზნით და მონაწილეთა ინტერესების შესაბამისად, სააგენტომ განახორციელა 1.641 მილიარდი ლარის ოდენობის ინვესტიცია მაღალრეიტინგული ადგილობრივი ლიცენზირებული კომერციული ბანკების მიერ გამოშვებულ სადეპოზიტო სერტიფიკატებში, ასევე, შეძენილ იქნა 157.2 მლნ ლარის ოდენობის საქართველოს სახაზინო ფასიანი ქაღალდები და 16.6 მლნ ლარის ქართული კორპორაციული ობლიგაციები. 2024 წლის პირველი 9 თვის მანძილზე ინვესტიციები განხორციელდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ სხვადასხვა აქტივებში. ამავე საანგარიშო პერიოდში 27.8 მლნ აშშ დოლარით შეძენილ იქნა უცხოური კორპორაციული აქციები, ხოლო გაყიდული იქნა 5.7 მლნ აშშ დოლარის უცხოური კორპორაციული აქციები. ასევე, შეძენილ იქნა 20.9 მლნ აშშ დოლარის აშშ-ის სახაზინო ობლიგაციები. აღნიშნული ინვესტიციების განხორციელების მიზნით დამატებით შეძენილ იქნა 37.5 მლნ აშშ დოლარი, ხოლო გაყიდული იქნა 5.8 მლნ აშშ დოლარი;
- ქვეყნის მასშტაბით არსებული 2 078 საჯარო და 205 კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დასაფინანსებლად მიიმართა 947.4 მლნ ლარი;
- საგანმანათლებლო დაწესებულების 1 805 მანდატური უზრუნველყოფდა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას 720 საჯარო, 2 კერძო სკოლასა და 1 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა: თბილისის 38 საჯარო სკოლის 11 115 მოსწავლის ტრანსპორტირება, ასევე 25 საჯარო სკოლის 402 შშმ და სსსმ სატატუსის მქონე, ეტლით მოსარგებლე მოსწავლის ტრანსპორტირებით მომსახურება (2023 - 2024 სასწავლო წლის მეორე სემესტრი); შესყიდულ იქნა თბილისის 39 საჯარო სკოლის 11 834 მოსწავლის ტრანსპორტირება, ასევე 29 საჯარო სკოლის 480 შშმ და სსსმ სატატუსის მქონე, ეტლით მოსარგებლე მოსწავლის ტრანსპორტირებით მომსახურება, ასევე დაფინანსდა 56 მუნიციპალიტეტი 1 141 საჯარო სკოლის 75 491 მოსწავლის ტრანსპორტირების მომსახურების შესყიდვა (2024-2025 სასწავლო წლის პირველი სემესტრი);
- პროფესიული განათლების დასაფინანსებლად მიიმართა 92.6 მლნ ლარზე მეტი, უმაღლესი განათლების ხელშეწყობისათვის - 131.5 მლნ ლარი (მათ შორის, სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტების დაფინანსებისა და ახალგაზრდების წახალისების მიზნით მიმართულ იქნა 95.3 მლნ ლარზე მეტი), ხოლო ინკლუზიური განათლების დასაფინანსებლად - 42.6 მლნ ლარზე მეტი;
- მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის მიზნით მიმართული 59.6 მლნ ლარამდე;
- მიმდინარეობდა 24 საჯარო სკოლის სამშენებლო სამუშაოები, დასრულდა 42 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ასევე დასრულდა ერთი საჯარო სკოლის მშენებლობა და 4 საჯარო სკოლის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები. მიმდინარეობდა 29 სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო დაგეგმილია 16 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია. ასევე, 110 საჯარო სკოლაში დასრულდა სამუშაოები სასკოლო მზაობის კლასების მოწყობის მიზნით;
- საქართველოს რეგიონებში დიზაინ ბილდის კონცეფციით 73 საჯარო სკოლის მშენებლობის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებებიდან 40 საჯარო სკოლაში მიმდინარეობდა სამშენებლო სამუშაოები, ხოლო 33 სკოლაში - საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმების სამუშაოები. ასევე,

საქართველოს რეგიონებში დიზაინ ბილდის კონცეფციის შესაბამისად სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა 27 საჯარო სკოლაში და მიმდინარეობდა 61 საჯარო სკოლაში;

- საანგარიშო პერიოდში 401 საჯარო სკოლას გადაეცა 18.9 ათასი ერთეული მერხისა და სკამის კომპლექტი. ასევე, 693 საჯარო სკოლა აღიჭურვა სამედიცინო ავეჯით, 62 საჯარო სკოლა აღიჭურვა 34 ერთეული სამედიცინო კაბინეტის და 28 ერთეული სამედიცინო პუნქტის ინვენტარით; საანგარიშო პერიოდში 84 საჯარო სკოლა აღიჭურვა 956 ერთეული სტანდარტული პერსონალური კომპიუტერის კომპლექტით; 94 საჯარო სკოლა - 159 ერთეული პრინტერით და კარტრიჯით, 185 საჯარო სკოლა - 1 505 ერთეული დაფით; საჯარო სკოლებს გადაეცა 1 937 ერთეული ბრაილის შრიფტით ნაბეჭდი და 59 ერთეული რელიეფური სახელმძღვანელო; შესყიდულია და საჯარო სკოლებისთვის მიწოდებულ იქნა 2024-2025 სასწავლო წლისთვის 2.7 მლნ ერთეული სახელმძღვანელო და ამდენივე რვეული; 84 საჯარო სკოლა უზრუნველყოფილი იქნა 346.78 ტონა საწვავი ბრიკეტით, ხოლო 62 საჯარო სკოლა დაფინანსდა საწვავი ბრიკეტების შესყიდვის მიზნით;
- დაფინანსდა 204 საჯარო სკოლა ნაწილობრივ სარეაბილიტაციო და ინვენტარით აღჭურვის მიზნით. 101 საჯარო სკოლა დაფინანსდა სხვადასხვა მომსახურების შესყიდვისა და სკოლის შენობის ტექნიკური მდგრადობისა და მის შესაბამისად ექსპლუატაციის უსაფრთხოების განსაზღვრის მიზნით.
- მიმდინარეობდა 4 პროფესიული სასწავლებლის სამშენებლო სამუშაოები და ერთი კოლეჯის ტერიტორიაზე ახალი სასწავლო-სახელოსნო კორპუსის სამშენებლო/საპროექტო სამუშაოები, 3 პროფესიული სასწავლებელი აღიჭურვა 420 კომპლექტი სასკოლო მერხითა და სკამით;
- მიღებულ იქნა მონაწილეობა მუსიკალურ და თეატრალურ ფესტივალებში, კონკურსებში და გამოფენებში;
- ხელი შეეწყო საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების მდგომარეობის შეფასების, ძეგლების რეაბილიტაცია/კონსერვაციის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებისა და სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებას;
- სპორტის სხვადასხვა სახეობის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამების ფარგლებში, სპორტის 60-მდე სახეობაში დაფინანსდა 291 ეროვნული შეჯიბრების ორგანიზება და 622 საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრში მონაწილეობა, 463 სასწავლო-საწვრთნელი შეკრება როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ. სპორტსმენებს გაეწია სამედიცინო მომსახურება;
- საქართველომ უმასპინძლა ისეთ მნიშვნელოვან საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებს, როგორცაა ძიუდოს გრან სლემი, ქ. თელავში, ჭაბუკების ევროპის თასი, კალათბურთში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევის მატჩი სერბეთის ნაკრების წინააღმდეგ, ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევის ერთა ლიგის 1/2 ფინალური მატჩი ლუქსემბურგის ეროვნული ნაკრების და ფინალური მატჩი საბერძნეთის ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ, რომლის შედეგადაც საქართველოს ეროვნული ნაკრები ისტორიაში პირველად მოხვდა ევროპის ჩემპიონატზე. ერთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მატჩი: საქართველო - ჩეხეთი. რაგბში რაგბი ევროპის თამაშები ნიდერლანდების, ესპანეთის და რუმინეთის ნაკრებების წინააღმდეგ, სპორტულ კარატეში კადეტთა, იუნიორთა და 21-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონატი, ახალგაზრდებს შორის საერთაშორისო ტურნირი - Open Georgia, ფარიკაობაში მფოლიო თასები ვაჟებს შორის ხმალსა და რაპირაში, თოვლის ფრენბურთში 20 წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონატი. ხელბურთში ქ.თბილისში, ჩატარდა საქართველო.-ავსტრია, 2025 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩი.
- ქართველმა სპორტსმენებმა საერთაშორისო ასპარეზზე მოიპოვეს 363 ოქროს, 319 ვერცხლის, 334 ბრინჯაოს, ჯამში 1 016 მედალი;
- „კულტურისა და სპორტის მოღვაწეთა სოციალური დაცვისა და ხელშეწყობის ღონისძიებები“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდია გაიცა 1 163 სპორტსმენზე, მწვრთნელსა და საექიმო პერსონალზე;
- „ვეტერან სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა სოციალური დახმარების“ პროგრამის ფარგლებში მატერიალური და სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად 311 ვეტერანმა სპორტსმენმა და სპორტის მუშაკმა მიიღო დახმარება;

- „მაღალმთიან დასახლებებში სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელების მხარდაჭერა“ პროგრამის ფარგლებში გაიცა დახმარება 26 მუნიციპალიტეტში 273 მწვრთნელზე;
- სტიპენდიებით უზრუნველყოფილი იქნა 93 საქართველოს სახალხო არტისტი, სახალხო მხატვარი და რუსთაველის პრემიის ლაურეატი, ხოლო სოციალური დახმარებით - 24 ლიტერატურისა და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე;
- „ოლიმპიური ჩემპიონების სტიპენდიების“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიები დანიშნული აქვს 137 სპორტსმენს;
- ანაზღაურებულ იქნა (10.0 მლნ ლარი) ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში, აგრეთვე იმ სოფლებში, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიენიჭათ, მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის მიერ 2023 წლის 1 დეკემბრიდან 2024 წლის 15 მაისამდე პერიოდში მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულება (მოხმარებული ბუნებრივი აირის ოდენობა - 17.5 მლნ მ³);
- ანაზღაურებულ იქნა (371.5 ათასი ლარი) რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებული სამხედრო აგრესიის შედეგად ოკუპირებულ ტერიტორიებზე (გორის, საჩხერისა და ახალგორის მუნიციპალიტეტების სოფლებში: ზემოარცევი, ახმაჯი, ქარმმანი, სინაგური და თედელეთი) არსებული აბონენტების მიერ 2023 წლის დეკემბრიდან 2024 წლის აგვისტოს ჩათვლით მოხმარებული 1 310.0 ათასი კვტ/სთ ელექტროენერჯის ღირებულება;
- სსიპ - აწარმოე საქართველოში ორგანიზებით განხორციელდა 11 საინფორმაციო შეხვედრა სხვადასხვა ბიზნესის წარმომადგენლებთან სააგენტოს მიერ განსახორციელებელი მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამების ცნობადობის ამაღლების მიზნით. სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილის ფარგლებში დადასტურდა 513 ბიზნეს პროექტი (მათ შორის მოხდა 38 პროექტზე სესხის/ლიზინგის რეფინანსირება), ხოლო 164 სესხზე გამოყენებულ იქნა საკრედიტო-საგარანტიო სქემა. საფინანსო ინსტიტუტების მიერ გაცემული სესხის/ლიზინგის საერთო ჯამური მოცულობა შეადგენს 402 მლნ ლარს (მათ შორის მსოფლიო ბანკის პროექტის ფარგლებში უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილის მიმართულებით დადასტურდა 246 სესხის/ლიზინგის განაცხადი. საფინანსო ინსტიტუტების მიერ გაცემული სესხის/ლიზინგის ჯამური მოცულობა შეადგენს 138 მლნ ლარს);
- სამშენებლო სექტორის ხელშეწყობის „იპოთეკური კრედიტების მხარდაჭერის მექანიზმის“ ფარგლებში სუბსიდირება გაეწია 4 551 ბენეფიციარს ჯამურად 8.7 მლნ ლარის ოდენობით. სუბსიდირებული იპოთეკური სესხის პროგრამის ფარგლებში დადასტურდა 1 179 იპოთეკური სესხი. სესხების ჯამური მოცულობა შეადგენს 159 მლნ ლარს. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სუბსიდია გაიცა 5 684 ბენეფიციარზე 25.2 მლნ ლარის ოდენობით;
- საკრედიტო-საგარანტიო სქემის ფარგლებში დადასტურდა 249 სესხის პროექტი (მათ შორის 15 არსებული სესხების რეფინანსირება), რომელთა ჯამურმა მოცულობამ შეადგინა 185 მლნ ლარი. 296 ბენეფიციარისათვის განხორციელდა საგარანტიო თანხების კომერციულ ბანკებში სააგენტოს დეპოზიტებზე განთავსება 39.2 მლნ ლარის ოდენობით (2024 წლის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებით - 172 ბენეფიციარისათვის 23.5 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო მსოფლიო ბანკის პროექტის ფარგლებში გამოყოფილი სახსრებით - 131 ბენეფიციარისათვის 15.7 მლნ ლარის ოდენობით). ბენეფიციარებზე გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად, სსიპ-ის - აწარმოე საქართველოში საკუთარი შემოსულობების ანგარიშზე „სახელმწიფო პროგრამის „საკრედიტო საგარანტიო სქემის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 მარტის N163 დადგენილებით აღებული ვალდებულების შესასრულებლად ჩარიცხული თანხებიდან, საანგარიშო პერიოდში კომერციული ბანკების მიერ გაცემული ტრანშების შესაბამისად დეპოზიტებზე განთავსდა საგარანტიო თანხები 39.2 მლნ ლარის ოდენობით (მათ შორის 2021 წელს დამტკიცებულ 11 ბენეფიციარისათვის - 247.8 ათასი ლარი; 2022 წელს დამტკიცებულ 24 ბენეფიციარისათვის - 1.6 მლნ ლარი (მათ შორის მსოფლიო ბანკის პროექტის ფარგლებში გამოყოფილი სახსრებით დამტკიცებულ 6 ბენეფიციარისათვის 305.6 ათასი ლარი), 2023 წლის დამტკიცებულ 100

ბენეფიციარისათვის - 13.7 მლნ ლარი (მათ შორის მსოფლიო ბანკის პროექტის ფარგლებში გამოყოფილი სახსრებით დამტკიცებულ 33 ბენეფიციარისათვის - 3.7 მლნ ლარი) და 2024 წლის დამტკიცებულ 171 ბენეფიციარისათვის - 23.7 მლნ ლარი (მათ შორის მსოფლიო ბანკის პროექტის ფარგლებში გამოყოფილი სახსრებით დამტკიცებულ 94 ბენეფიციარისათვის - 11.8 მლნ);

- საირიგაციო და დამშრობი (დრენაჟი) სისტემების, ჰიდროტექნიკური ნაგებობის რეაბილიტაციის, სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის, მანქანა-დანადგარების შექმნის, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მიმდინარე ტექნიკური ექსპლუატაციის, მექანიკური სატუმბი სადგურების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის, სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა მანქანა-მექანიზმების მოვლა-შენახვის ღონისძიებების დაფინანსების, საირიგაციო და დამშრობი (დრენაჟი) სისტემების გაუმჯობესების მიზნით მიიმართა 54.6 მლნ ლარი (მათ შორის, სუბსიდია 19.0 მლნ ლარი). საირიგაციო სისტემებზე სამუშაოები მიმდინარეობდა 64 ობიექტზე, დასრულდა 18 ობიექტი, შეწყდა 5 ობიექტი;
- სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში განხორციელდა: 13 722 ინსპექტირება/კონტროლი, დოკუმენტური შემოწმება/მონიტორინგი - 8 902, სურსათის/სასმელი წყლის ნიმუშის/სინჯის აღება - 3 665, ზედამხედველობა-ბიზნეს ოპერატორის საქმიანობაზე - 706. აღნიშნული ღონისძიებების შედეგად გამოვლინდა 2 779 ადმინისტრაციული სამართალდარღვევა;
- ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის და იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის ფარგლებში ეპიზოოტიური სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით მიმდინარეობდა იძულებითი და პროფილაქტიკური ვაქცინაცია: ცოფის, ჯილეხის, წვრილფეხა პირუტყვის ჭირის, ბრუცელოზის, თურქულის, ცხვრისა და თხის ყვავილის, მსხვილფეხა პირუტყვის ნოდულარული დერმატიტის საწინააღმდეგოდ. ასევე, მიმდინარეობდა ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია. საანგარიშო პერიოდში მიმართული იქნა 10.6 მლნ ლარი;
- აზიური ფაროსანას მოზამთრე ფაზის რიცხოვნობის განსაზღვრის მიზნით ჩატარდა საკარმიდამო მონიტორინგი, შემოწმდა 573 ლოკაცია და 1 719 ოჯახი, დამონტაჟდა 7.0 ათას ერთეულ ფერომონზე მეტი, „მოიზიდე და გააანადგურე“ სადგურებზე დამონტაჟდა 153.2 ათასი ერთეული ფერომონი. მავნებლის გავრცელების კერებში დამუშავებულია 322.1 ათას ჰექტარამდე ფართობი. აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელ ღონისძიებებზე საანგარიშო პერიოდში მიმართული იქნა 15.0 მლნ ლარი;
- ქვეყნის მასშტაბით გადამუშავებულია 275.0 ათასი ტონა ყურძენი, საიდანაც 135.6 ათასი ტონა რქაწითელია, 129.0 ათასი ტონა საფერავი, ხოლო დანარჩენი სხვადასხვა ჯიშის ყურძენი.
- „შელავათიანი აგროკრედიტების“ პროექტის ფარგლებში მიმდინარეობდა მეწარმეთა უზრუნველყოფა იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით, პროექტში მონაწილე კომერციული ბანკების და საფინანსო ინსტიტუტების მიერ გაცემული სესხის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება, დადგენილი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. საანგარიშო პერიოდში გაცემულია 4 097 ახალი სესხი 415.2 მლნ ლარის ოდენობით, სულ მომსახურება გაეწია 22 869 სესხს, გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთების თანადაფინანსების თანხამ შეადგინა 171. 0 მლნ ლარი;
- „დანერგე მომავალს“ ფარგლებში ბაღების, სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების მოწყობის, ჭის/ჭაბურღილის/სატუმბი სადგურის მოწყობის და წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობის კომპონენტების ფარგლებში 368 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა 436 ხელშეკრულება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ჯამური ინვესტიციის მოცულობამ შეადგინა 50.6 მლნ ლარი, დაკონტრაქტებული ფართობი შეადგენს 3 136.9 ჰექტარს, მათ შორის: ბაღების კომპონენტის ფარგლებში დაკონტრაქტებული ბაღების ფართობი შეადგენს 2 804.8 ჰექტარს, სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების მოწყობის მიზნით დაკონტრაქტებული ფართობი - 70.8 ჰექტარს, ჭის/ჭაბურღილის/სატუმბი სადგურის მოწყობის მიზნით დაკონტრაქტებული ფართობი - 166.9 ჰექტარს, წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობის მიზნით დაკონტრაქტებული ფართობი - 94.4 ჰექტარს. სულ პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულ პროექტებზე მიიმართა 23.6 მლნ ლარი;

- „თხილის წარმოების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში თხილის ნაკვეთების ფართობის მქონე 63 522 უნიკალურ ბენეფიციარს დაერიცხა შესაბამისი ქულა, რეგისტრირებული ფართობი შეადგინა დაახლოებით 45.2 ათასი ჰექტარი, ხოლო საანგარიშო პერიოდში მიიმართა 22.4 მლნ ლარი. ამასთან სულ 2022-2024 წლებში ამ მიზნით მიიმართა 44.4 მლნ ლარი;
- საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე, გზების მოვლა-შენახვაზე, ახალი მაგისტრალების, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მშენებლობაზე დახარჯულ იქნა 1 550.0 მლნ ლარი, მათ შორის:
 - ✓ საავტომობილო გზების მშენებლობა და მოვლა-შენახვა - 602.2 მლნ ლარი (მათ შორის საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთება და რეაბილიტაცია - 323.4 მლნ ლარი, საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთება და შენახვა ზამთრის პერიოდში - 95.0 მლნ ლარი);
 - ✓ ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობა - 947.8 მლნ ლარი.
- სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მუნიციპალური და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის, საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის, იძულებით გადაადგილებულ პირთათვის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით დახარჯულ იქნა 584.8 მლნ ლარი, მათ შორის განხორციელდა ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები, როგორცაა:
 - ✓ ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები - 153.3 მლნ ლარი;
 - ✓ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია - 137.6 მლნ ლარი;
 - ✓ განახლებული რეგიონების პროგრამა - 82.2 მლნ ლარი;
 - ✓ საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა (I ფაზა) (ADB) – 34.5 მლნ ლარი;
 - ✓ რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი II (WB, WB-TF) – 21.0 მლნ ლარი, ხოლო რეგიონალური განვითარების პროექტი III (მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი) (WB) – 20.2 მლნ ლარი;
 - ✓ საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია - 62.9 მლნ ლარი, მათ შორის თბილისის საჯარო სკოლების რეაბილიტაციისა და ენერგოეფექტურობის გაზრდის პროექტი (CEB, E5P) – 13.2 მლნ ლარი (ამასთან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხაზით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარებაზე საანგარიშო პერიოდში მიმართულია 246.6 მლნ ლარი);
 - ✓ იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა - 4.5 მლნ ლარი.
- წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციის პროექტებზე მიმართულ იყო 393.5 მლნ ლარი;
 - „საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის 20 მარტის შეთანხმებაში” ცვლილებების შეტანის თაობაზე” შეთანხმების შესაბამისად 2024 წლის 15 მარტს განხორციელდა საქართველოს მთავრობის მიერ 2023 წლის 15 მარტს გამოშვებული 80 846.0 ათასი ლარის ობლიგაციების განახლება 40 846.0 ათასი ლარის ოდენობით, წლიური 8.505% საპროცენტო განაკვეთით და 40 000.0 ათასი ლარის გადაფორმება სახელმწიფო ობლიგაციებად ღია ბაზრის ოპერაციებისათვის, საიდანაც:
 - ✓ 10 000.0 ათასი ლარი გადაფორმდა წლიური განაკვეთით 8.500%;
 - ✓ 8 000.0 ათასი ლარი წლიური განაკვეთით 8.375%;
 - ✓ 12 000.0 ათასი ლარი წლიური განაკვეთით 8.375%;
 - ✓ 10 000.0 ათასი ლარი წლიური განაკვეთით 8.375%.

ასევე, ზემოაღნიშნული შეთანხმების შესაბამისად, 2024 წლის 15 მარტს განხორციელდა 2019 წლის 15 მარტს გამოშვებული „ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“ დაფარვა 10 000.0 ათასი ლარის

ოდენობით, 2024 წლის 15 ივნისს განხორციელდა 2020 წლის 15 მარტს გამოშვებული „ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“ დაფარვა 12 000.0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 2024 წლის 15 სექტემბერს განხორციელდა 2021 წლის 15 მარტს გამოშვებული „ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“ დაფარვა 10 000.0 ათასი ლარის ოდენობით.

- საქართველოს მიერ განხორციელებულ იქნა ყოველწლიური საწევრო შენატანი სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში არსებულ ფონდებსა და სამშვიდობო მისიებში;
- საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მიმდინარეობდა პოლიტიკური პარტიებისათვის გამოყოფილი თანხების განაწილების უზრუნველყოფა, დაფინანსდა 12 კვალიფიციური პოლიტიკური პარტია;
- 2024 წლის 26 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნების ელექტრონულად ჩასატარებლად მოსამზადებელი ღონისძიებებისთვის საანგარიშო პერიოდში მიმართული იქნა 82.0 მლნ ლარამდე;
- საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებზე დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიები გაიცა 8 დაჯილდოებულ პირზე. ამ მიზნით მიიმართა 53.0 ათასი ლარი;
- „უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების გამო საქართველოში შემოსული უკრაინის მოქალაქეთა და უკრაინაში მუდმივი ცხოვრების უფლების მქონე პირთათვის სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერის ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 13 ივლისის N1254 განკარგულების შესაბამისად სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო ახორციელებდა დახმარების გაცემას ოჯახზე თვეში 300 ლარის ოდენობით, ხოლო საარსებო პირობების უზრუნველსაყოფად - პირზე 45 ლარის ოდენობით. ამ მიზნით იანვარში დახმარება გაეწია 1 883 ოჯახს (3 492 პირს), თებერვალში - 1 913 ოჯახს (3 527 პირს), მარტში - 2 084 ოჯახს (3 872 პირს), აპრილში - 2 018 ოჯახს (3 742 პირს), მაისში - 2 151 ოჯახს (3 958 პირს), ივნისში - 2 230 ოჯახს (4 076 პირს), ივლისში - 2 066 ოჯახს (3 741 პირს), აგვისტოში - 2 119 ოჯახს (3 836 პირს), ხოლო სექტემბერში - 2 272 ოჯახს (4 089 პირს);
- საქართველოს მთავრობის დავალებების შესაბამისად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ხაზით მიმდინარეობდა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების საკომპენსაციო თანხებით უზრუნველყოფა, კერძოდ: 2023 წლის 8 სექტემბერს გურიის რეგიონში სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების საკუთრებაში რეგისტრირებული საცხოვრებელი სახლების სანაცვლოდ 553 ოჯახზე გაიცა საკომპენსაციო თანხები (391 ოჯახზე - თითოეულ ოჯახზე 50.0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 162 ოჯახზე - თითოეულ ოჯახზე 30.0 ათასი ლარის ოდენობით) ჯამურად 24.4 მლნ ლარის ოდენობით; ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ითხვისში მომხდარი ანთროპოგენური კატასტროფის შედეგად დაზარალებულ 7 ოჯახზე გაიცა საკომპენსაციო თანხები (თითოეულ ოჯახზე 30 ათასი ლარის ოდენობით) ჯამურად 210.0 ათასი ლარის ოდენობით; 2024 წლის მაისში განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგად ახალგორის, ერედვის, თიღვის და ქურთის მუნიციპალიტეტებში დაზარალებულ 229 ოჯახზე (თითოეულ ოჯახზე 1 000 ლარის ოდენობით) საკომპენსაციო თანხები ჯამურად 229.0 ათასი ლარის ოდენობით (ამათან, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან შესაბამის მუნიციპალიტეტებს (ახალგორის, ერედვის, თიღვის, ქურთის, ბოლნისის, მარნეულის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტები) გამოეყო 586.0 ათასი ლარი, დაზარალებულ 293 ოჯახზე დამატებით თითოეულ ოჯახზე 2 000 ლარის გამოყოფის მიზნით).

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 886 314.6 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1 844 175.6 ათასი ლარი, რაც

გეგმიური მაჩვენებლის 97.8%-ს შეადგენს. „შრომის ანაზღაურების“ მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 13.0%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების 10.1%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განსაზღვრულ იქნა 1 710 678.6 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1 609 029.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 94.1%-ს შეადგენს. „საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 11.3%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების 8.8%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ კატეგორიიდან ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გაწეული დანარჩენი ხარჯების სტრუქტურა შემდეგია:

- შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება - 408 110.8 ათასი ლარი;
- მივლინება - 53 824.7 ათასი ლარი;
- ოფისის ხარჯები - 234 291.3 ათასი ლარი;
- წარმომადგენლობითი ხარჯები - 23 552.3 ათასი ლარი;
- კვების ხარჯები - 106 925.6 ათასი ლარი;
- სამედიცინო ხარჯები - 38 340.4 ათასი ლარი;
- რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები - 62 097.8 ათასი ლარი;
- ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები - 122 992.4 ათასი ლარი;
- სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები - 31 426.9 ათასი ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 527 466.6 ათასი ლარი.

„პროცენტის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განსაზღვრულ იქნა 1 196 852.2 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1 190 758.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.5%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 6.5%-ს შეადგენს. პროცენტის მუხლიდან საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიმართული იქნა 533 597.5 ათასი ლარი, ხოლო საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე - 657 121.7 ათასი ლარი.

„სუბსიდიების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 788 166.2 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 762 573.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 96.8%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 4.2%-ს შეადგენს.

სუბსიდიის მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები, როგორცაა:

- ✓ ერთიანი აგროპროექტი - ჯამურად მიიმართა 201 214.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.8%-ს შეადგენს;
- ✓ მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია - აღნიშნულ ღონისძიებებზე საანგარიშო პერიოდში ჯამურად მიიმართა 159 377.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 97.7%-ს შეადგენს;
- ✓ მეწარმეობის განვითარება - ჯამურად მიიმართა 91 325.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 70.4 %-ს შეადგენს;
- ✓ ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობა - 72 705.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 186.6%-ს შეადგენს.


„გრანტების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განსაზღვრულ იქნა 1 177 223.4 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1 108 114.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 94.1%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 6.1%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 5 740 666.7 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური პარამეტრის (5 745 365.4 ათასი ლარი) 99.9 %-ია. „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 40.4%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების 31.5%-ს შეადგენს.

სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- ✓ მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 2 945 378.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100%-ს შეადგენს;
- ✓ მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 1 124 624.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.9%-ს შეადგენს;
- ✓ მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 936 475.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 285 000.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს.
- ✓ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის და მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში პროგრამები - აღნიშნული მიზნით ჯამურად მიიმართა 206 238.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის დაფინანსების მიზნით მიიმართა 74 832.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.9%-ს შეადგენს.

2024 წლის 9 თვის ხარჯების სტრუქტურა
(საკასო შესრულება)




„სხვა ხარჯების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 2 028 443.2 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულება - 1 962 149.0 ათასი ლარია, რაც გეგმის 96.7%-ია. „სხვა ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 13.8%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების - 10.8%-ს შეადგენს.

„სხვა ხარჯების“ მუხლიდან დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- ✓ სკოლამდელი და ზოგადი განათლება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 998 621.0 ათასი ლარი (გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ია), მათ შორის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსებაზე - 947 399.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია - აღნიშნული მიზნით მიიმართა 272 710.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
